საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის მეორე ეტაპი დასრულდა.

გამოცდები 2023 წლის 10 – 16 ნოემბრის პერიოდში განხორციელდა. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, კომპეტენციების შესაბამისად, უზრუნველყო საგამოცდო პროცესის ორგანიზება, კომპიუტერული პროგრამების ფუნქციონირება და გამოცდის ჩატარება. მოქალაქეებს 10 მუნიციპალიტეტში გახსნილი 12 საგამოცდო ცენტრი მოემსახურა.

გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 6257 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 4788 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიკატი 4752-მა პირმა მიიღო (ქალი - 4198; კაცი - 554). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

აღნიშნული სერტიფიცირების გამოცდა საარჩევნო რეფორმას ეხმიანება. სერტიფიცირების გამოცდის ციკლი წელს პირველად ორ ეტაპად ჩატარდა: I ეტაპი - 2023 წლის სექტემბერი-ოქტომბერი, II ეტაპი - 2023 წლის ნოემბერი. ჯამური სტატისტიკური მონაცემებით გამოცდისთვის ორივე ეტაპზე დარეგისტრირდა - 14381 პირი, გამოცდაზე გამოცხადდა - 10649 პირი, მათგან საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიკატის მფლობელი გახდა 10565 მოქალაქე.

2023 წლის 10-16 ნოემბერს გამართული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	თბილისის საგამოცდო ცენტრი N1 **გლდანი**	1190	850	843
2	თბილისის საგამოცდო ცენტრი N2 **ვაკე**	450	316	316
3	თბილისის საგამოცდო ცენტრი N3 **სეუ**	1050	711	711
4	გურჯაანის საგამოცდო ცენტრი	449	401	393
5	სიღნაღის საგამოცდო ცენტრი	270	221	220
6	თელავის საგამოცდო ცენტრი	476	424	423
7	რუსთავის საგამოცდო ცენტრი	480	377	377
8	ბოლნისის საგამოცდო ცენტრი	200	160	160
9	თეთრიწყაროს საგამოცდო ცენტრი	360	287	286
10	გორის საგამოცდო ცენტრი	900	748	730
11	მესტიის საგამოცდო ცენტრი	206	100	100
12	ოზურგეთის საგამოცდო ცენტრი	226	193	193